პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 174 (4168)

1970 წ. 5 სექტემბერი. შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

## მედლები, მედლები...

ტურინი, 3 სექტემბერი. მსოფლიო უნივერსიადის ჩემპიონი გახდა ტ. პარმასი. მან ეს წოდება მოიპოვა იაპონელ კ. სავამაცუსთან ფინალური შეხვედრის მოგებით — 6:8, 8:6, 6:1. ერთეულთა თანრიგში თ. ლეიუსი ვერცხლის მედალს დასჯერდა. იგი ფინალში დაამარცხა პოსიმ (საფრანგეთი). სამაგიეროდ, ლეიუსმა პარმასთან ერთად შერეული წყვილების ფინალური ბრძოლა მოიგო. საბჭოთა ჩოგბურთელებმა ფარ-ხმალი დააყრევინეს ავსტრალიელებს იანგსა და გოლარდს — 6:4, 6:3. ლეიუსი ვოლკოვთან ერთად იბრძოდა ვაჟთა წყვილებში უძლიერესის სახელისთვის. მათი მეტოქეები იყვნენ იაპონელები ტ. საკაი და ი. კავიმაცუმი. გამარჯვების სასწორი იაპონელთა მხარეს გადაიხარა — 7:5, 2:6, 6:3, 5:7, 6:0. პარმასმა და სობოლმა ქალთა წყვილების თანრიგში III ადგილი მოიხვეჭეს. მათ ეს ადგილი უნგრელებთან ბორკასთან და გრაცკოლთან შეხვედრის მოგებით დაიკავეს — 6:2 6:0.

ტანმოვარჯიშე ქალთა შორის აბსოლუტური პირველობა მოიპოვა ლ. პეტრიკმა, რომელმაც მრავალჭიდში 38,55 ქულა დააგროვა. მან ერთობ მაღალი შეფასება დაიმსახურა თავისუფალ ვარჯიშში — 9,8. მრავალჭიდში ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებიც საბჭოთა სპორტსმენებს ერგოთ: II ადგილზეა ტ. შჩეგოლკოვა — 38,5, III — ვ. გოლენიოვა — 38,15. გუნდური პირველობაც საბჭოთა სტუდენტებმა მოიპოვეს — 115,40. II ადგილზე გავიდნენ იაპონელები — 113,0 ქულა.

რაც შეეხება ვაჟთა ასპარეზობას, აქ როგორც გუნდურ, ისე პირად ჩათვლაში, იაპონელებმა იმარჯვეს. მრავალჭიდში უძლიერესი იყო ტ. ოკამურა. საბჭოთა სპორტსმენი ვ. ფოგელი III ადგილით დაკმაყოფილდა. გუნდურ ასპარეზობაში იაპონელებმა 171,35 ქულა დააგროვეს. II ადგილზეა სსრ კავშირის ნაკრები — 168,85, III — აშშ-ს გუნდი — 166,05.

საბჭოთა მძლეოსნებმა ოქროს 2 მედალი მოიხვეჭეს: რ. შარაფეტდინოვი უძლიერესი იყო 10.000 მეტრზე რბენაში (29.02,2), ტ. კონდრაშევა — ხუთჭიდში.

ჰ. როზენდალმა (გფრ) ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა სიგრძეზე ხტომაში — 684 სმ: 2 სანტიმეტრით გააუმჯობესა რუმინელი მ. ვისკოპოლიანუს 2 წლის წინანდელი რეკორდი.

შუბის ტყორცნა კარგი შედეგით (81,94 მ) მოიგო უნგრელმა მ. ნემეტმა.

დაშნით მოფარიკავეთა ერთობ უშეღავათო ბრძოლაში ოქროს მედალი საბჭოთა სტუდენტმა ვ. პარამონოვმა მოიპოვა. მას, იტალიელ ნ. გრანიერისა და უნგრელ ი. ოსტრიჩს ფინალში 3-3 გამარჯვება ჰქონდათ და პირველობის ბედი დამატებითმა ორთაბრძოლებმა გადაწყვიტა.

საბჭოთა კალათბურთელმა ქალებმა დაუმარცხებლად ჩაატარეს ტურნირი. ბოლო მატჩში მათ ჩეხოსლოვაკიელებს სძლიეს — 71:42. ჩეხოსლოვაკიელები II ადგილზე დარჩნენ. III ადგილზე გავიდნენ კუბელები.

საბჭოთა კალათბურთელ ვაჟებთან ერთად ფინალურ ოთხეულში გამოდიან იუგოსლავიის, აშშ-სა და კუბის ნაკრები გუნდები. ტურნირი წრიული სისტემით ტარდება, თანაც, წინასწარ მატჩებში ერთმანეთთან ჩატარებული შეხვედრების შედეგები არ ითვლება.

საბჭოთა ფრენბურთელმა ქალებმა იოლად დაამარცხეს ჰოლანდიელები — 3:0 (15:5, 15:4, 15:2).

* * *



ს უ რ ა თ ზ ე: 10000 მეტრზე გამარჯვებული რ. შარაფეტდინოვი (მარჯვნივ) და II ადგილის მფლობელი ჯ. ლეიკი (ინგლისი).

აპ — საკდეს ტელეფოტო.

## ტელეტაიპით

ოსაკა, 3 სექტემბერი. იაპონიის ამ ქალაქის 50-მეტრიან აუზში ამერიკელმა მოცურავე ქალებმა გააუმჯობესეს მსოფლიო რეკორდი დაამყარეს 4×100 მეტრზე კომბინირებულ ესტაფეტაში — 4.27,4. გამარჯვებული კვარტეტის შემადგენლობაში იყვნენ ს. ეთვუდი (გულაღმა — 1.06,9), კ. ბრეჰტი (ბრასით — 1.15,2), ა. ჯონსი (ბატერფლაით — 1.05,0) და ს. შივინგი (თავისუფალი სტილით — 1.00,3). ახალი მსოფლიო რეკორდი 0,7 წამით სჯობს ორი წლის წინათ ასევე ამერიკელთა მიერ დამყარებულ ძველ მიღწევას.

ტურინი, 4 სექტემბერი. მსოფლიო უნივერსიადაში მოახპარეზე ვ. ნორდვიგმა (გდრ) ჭოკით ხტომაში ოქროს მედალი მოიხვეჭა ახალი მსოფლიო რეკორდით — 546 სმ. გერმანელმა მძლეოსანმა ამ თვენახევრის წინათ დამყარებულ თავისივე მიღწევას ერთი სანტიმეტრი დაამატა.

პარიზი, 4 სექტემბერი. 23 წლის ჟან-ივ პარტეტმა ევროპის ახალი რეკორდი დაამყარა საწყლოსნო თხილამურებით სრიალში: მდინარე ორნზე მან საათში 142 კმ სისწრაფით ჩაიქროლა.

ასეთი შედეგისთვის რომ მიეღწია, პარტეტმა უარი თქვა კატარღით ბუქსირების ცდაზე და „შეკაზმა" ავტომობილი, რომელიც მდინარის ნაპირზე მიჰქროდა.

რეკორდსმენად გახდომამდე პარტეტი 15-ჯერ ფლობდა საფრანგეთის ჩემპიონის ტიტულს და კონტინენტის ჩემპიონიც იყო.

## რომ გკითხოთ [illegible] მეტი იყო...

◆ სენტ-კატარინსი (კანადა), 4 სექტემბერი. აკადემიურ ნიჩბოსნობაში 2-კილომეტრიან ტრასაზე აქ მიმდინარე III მსოფლიო ჩემპიონატის პირველი ზღუდე ყველა საბჭოთა სპორტსმენმა წარმატებით გადალახა. როგორც ვიუწყებოდით, ნავების სამ კლასში მათ შეჯიბრების პირველივე დღეს გაინაღდეს ნახევარფინალების საგზურები. დანარჩენებმა მიზანს სანუგეშო რბოლების წყალობით მიაღწიეს. ვინაიდან ყველაზე ცოტა მონაწილე წყვილმოსასმელიანი ორიანების კლასში ასპარეზობს, აქ პირდაპირ ფინალის საგზურები გათამაშდა. იმარჯვეს მოსკოველებმა ა. ტიმოშინინმა და ე. ჟდანოვიჩმა — 6.26,24. სანუგეშო სერია მოიგო და ნახევარფინალში გამოვა საბჭოთა მესაჭიანი ოთხიანი — 6.21,10. საბჭოთა უმესაჭო ოთხიანიც (6.18,94) გამოვა ნახევარფინალში — მან II ადგილი დაიკავა. გაიმარჯვეს უნგრელებმა — 6.17,54. რვიანების ტურნირში ნორვეგიელებმა, რომლებსაც ფავორიტებად არავინ მიიჩნევდა, არაოფიციალური მსოფლიო რეკორდი დაამყარეს — 5.43,61. საბჭოთა ნავმა თავისი სერია მოიგო (5.50,56) და ნახევარფინალში იასპარეზებს.

## ახალი ამბები

● ფორესტ-ჰილი, 3 სექტემბერი. საბჭოთა ჩოგბურთელებმა ა. მეტრეველმა და ვ. კოროტკოვმა წარმატებით აიღეს სტარტი ამერიკის შეერთებული შტატების აქ დაწყებულ ღია ჩემპიონატში: პირველ წრეში თბილისელმა სპორტსმენმა დაამარცხა კ. ვან ნოსტრენდი (აშშ) — 6:4, 6:2, 6:4, ხოლო მოსკოველმა — კ. სტიუარტი (აშშ) — 6:3, 7:6, 6:3.

● ბუდაპეშტი, 3 სექტემბერი. აქ გაიმართა მეგობრული არმიების I ჩემპიონატი ცხენოსნობაში. უნგრეთის, გდრ-ის, პოლონეთისა და სსრ კავშირის მხედრები ხუთი დღის მანძილზე ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ცხენის გახედნასა და წინაღობათა გადალახვაში. ჩემპიონატის მთავარი პრიზი — „ეროვნებათა თასი" სსრ კავშირის ნაკრებმა მოიგო. ცხენის გახედნაში დიდი პრიზი მოიხვეჭა მოსკოველმა ი. კალიტამ. II და III ადგილებზე გდრ-ის წარმომადგენლები გავიდნენ. წინაღობათა გადალახვაში პირველი ორი ადგილი პოლონელებმა ი. კოვალსკიმ და მ. კოზიცკიმ დაიკავეს. III ადგილზეა მოსკოველი ვ. მატვეევი.

● მოსკოვი, 3 სექტემბერი. წლევანდელ ზამთარში მოციგურავეთა კიდევ ერთი ახალი საკავშირო შეჯიბრება აიღებს სტარტს — ამიერიდან ყოველწლიურად გაიმართება ტურნირი გაზეთ „სოვეტსკაია როსიას" პრიზზე. შეჯიბრება პირადი იქნება. უკვე დეკემბერში მისი სამი ეტაპი მოეწყობა.

● რიგა, 3 სექტემბერი. აფროსანთა საკავშირო ჩემპიონატის მონაწილეებს, როგორც იქნა, ამინდმა გაუღიმა: მძაკვარმა ბალტიკამ ძლივს „გაიმეტა" ორბალიანი ქარი და იახტები ფინიშთან ბუქსირის დაუხმარებლად მივიდნენ. ორი „უქმი" დღის შემდეგ მსაჯთა კოლეგიამ მესამე — ბედნიერ დღეს ორი რბოლის გამართვა გადაწყვიტა. ასეთ წყნარ ამინდში ერთობ ძნელია იახტის მართვა, მაგრამ ოსტატებმა (ჩემპიონატში პირველად არიან დაშვებული მხოლოდ ამ წოდების მატარებლები, — ეკიპაჟის წევრებსაც კი უნდა ჰქონდეთ ეს ტიტული) მოახერხეს აფრებში ერთბალიანი ნიავიც კი „დაეჭირათ". სასიამოვნო სიურპრიზი შემოგვთავაზა ნაკლებად ცნობილმა მოსკოველმა აფროსანმა, 23 წლის ნ. კრივოვმა „ფინის" კლასში. პირველ ნიშანთან იგი მხოლოდ მეათე მივიდა, მაგრამ შემდეგ ყველა მეტოქე, მათ შორის, შარშანდელი ჩემპიონი ვ. დირდირა და გამოცდილი ვ. პოტაპოვი ჩამოიტოვა. თუმცა პოტაპოვმა შემდეგ რევანში აიღო, მაგრამ კრივოვი ორი რბოლის შემდეგ მაინც ლიდერობს. „ვარსკვლავის" კლასში ორივე სერია დამაჯერებლად მოიგო მოსკოველმა ბ. ბუდნიკოვმა, ხოლო „მფრინავი ჰოლანდიელის" კაპიტანთა შორის ლიდერობა ხელთ იგდო ბუდნიკოვის თანაქალაქელმა, სსრ კავშირის ჩემპიონმა ვ. ლეონტიევმა. საუცხოო მებრძოლის თვისებები გამოავლინა პირველობის ყველაზე უხუცესმა მონაწილემ — 62 წლის ე. კანსკიმ (რიგა). „ურჩხულის" კლასში პირველი უხეირო რბოლის შემდეგ (XIV ადგილი) მან მეორე სერიაში ყველას აჯობა. ამ კლასში ლიდერობა ხელთ იგდო პირველ რბოლაში გამარჯვებულმა, ევროპის ექს-ჩემპიონმა ი. ანისიმოვმა. კატამარანებით ჯერჯერობით ყველაზე კარგად ასპარეზობს გორკელი ი. ჩაბანი. ახალ ოლიმპიურ კლასებში — „ტემპესტსა" და „სოლინგში", როგორც მოსალოდნელი იყო, ბადალი არ ჰყავთ ოლიმპიურ ჩემპიონებს ვ. მანკინსა და თ. პინეგინს.

## ახალი ამბები

## ჩვენს ძმურ რესპუბლიკებში

## სოფლის სტიპენდიატები

სმოლენსკი, 2 სექტემბერი. ადგილობრივი ფიზკულტურის ინსტიტუტის პირველკურსელები გუშინ სწავლას შეუდგნენ. წლეულს ინსტიტუტში შესულთა შორის 18 კაცი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საგზურებით მოვიდა. მაგალითად, გაგარინის რაიონის საბჭოთა მეურნეობა „დრუჟბამ" სტიპენდია დაუნიშნა ვ. ალფეევს, რომელიც ძალოსნობაში მეცადინეობს. პირველთანრიგოსანი ფეხბურთელი ვ. ეგოროვი სასწავლებელში პოჩინკოვსკის რაიონის საჯიშე ქარხანა „კომინტერნმა" გამოგზავნა.

ფიზკულტურის ინსტიტუტში მეორე წელია სწავლობს ნ. შილოვსკი, რომელსაც სტიპენდიას იარცევსკის რაიონის საბჭოთა მეურნეობა „კანირევშჩინსკი" უხდის. სტუდენტი არდადეგების პერიოდში გატაცებით ავარჯიშებდა სოფლის სპორტსმენებს.

სმოლენსკის ფიზკულტურის ინსტიტუტში ახლა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების 30-მდე სტიპენდიატი სწავლობს.



როვნოში (უკრაინის სსრ) გაიხსნა ახალი სტადიონი, რომელიც 25 ათას მაყურებელს იტევს.

ს უ რ ა თ ზ ე: ახალი სტადიონის გახსნა.

ბ. კრიშტულის ფოტო (ახალი ამბების სააგენტო).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი საქმიანობის ქვაკუთხედი — სპარტაკიადებისთვის მზადება!

ქობულეთის რაიონის მშრომელებმა წლეულსაც დიდ წარმატებებს მიაღწიეს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებაში. ჩვენი რაიონის მეჩაიეებმა უკვე გადამეტებით შეასრულეს სახელმწიფოსთვის ხარისხოვანი ჩაის ფოთლის მიყიდვის გეგმა — მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 25 ათას ტონაზე მეტი პროდუქცია. ასევე მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში. ახლა რაიონში ციტრუსოვანთა ნაყოფის უხვი მოსავლისთვის იბრძვიან.

ქობულეთელებმა შრომაც კარგი იციან და აქტიური დასვენებაც. აქტიური დასვენების საუკეთესო ფორმად კი აქ ფიზკულტურა მიაჩნიათ.

რაიონში 103 ფიზკულტურული კოლექტივია, რომლებიც 18 ათასამდე კაცს აერთიანებენ. ბევრია ისეთი კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა, საწარმო, სკოლა, სადაც მასობრივ-გამაჯანსაღებელი და სპორტული საქმიანობა მაღალ დონეზე დგას. ეს კი საშუალებას გვაძლევს რაიონული შეჯიბრებების ხშირად გამართვით შევარჩიოთ საუკეთესოები, რომლებიც შემდეგ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჩემპიონატებში მუდამ წარმატებით გამოდიან.

ქობულეთელებს აჭარაში განსაკუთრებით კარგი მაჩვენებლები აქვთ ლელობურთში, ველოსპორტში, ფრენბურთში, კალათბურთში, ჭადრაკში, მძლეოსნობაში...

ჭადრაკში როგორც ვაჟთა, ისე ქალთა ნაკრები გუნდები, ჩემპიონები არიან; ველოსპორტსა და ლელობურთში აჭარის ნაკრების ძირითად ბირთვს ჩვენი რაიონის სპორტსმენები შეადგენენ; მძლეოსნობაშიც კარგ შევსებას ვიძლევათ. სულ აჭარის ნაკრებში 55 ქობულეთელი სპორტსმენია, „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს ნაკრებში კი ჩვენი რაიონის 6 მკვიდრია.

კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, სკოლების დირექციების უმეტესობა სათანადოდ ზრუნავს ფიზკულტურული კოლექტივების ბაზებით, ინვენტარითა და ფორმებით უზრუნველსაყოფად. სადღეისოდ რაიონში ფრენბურთის 108 და კალათბურთის 36 მოედანი, ფეხბურთის 9 მინდორი, 5 სპორტდარბაზია. აღარაფერს ვამბობთ მარტივი ტიპის ნაგებობებზე, სადაც ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობაა გაჩაღებული.

## ღირსების საქმე

რაიონის ფიზკულტურის კომიტეტისა და „კოლმეურნის" რაისაბჭოს ხელმძღვანელობით, ფიზკულტურის კოლექტივების ნაყოფიერი საქმიანობით, რაიონული ჩემპიონატების სისტემატური გამართვით, საოლქო და რესპუბლიკურ ასპარეზობებში ხშირი მონაწილეობით შევძელით, რომ შარშან ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში სასახელო მაჩვენებლებისთვის მიგვეღწია: მოვამზადეთ 5 სსრ კავშირის სპორტის ოსტატი, 3 სპორტის ოსტატობის კანდიდატი, 19 საქართველოს სსრ სპორტის ოსტატი, 60 პირველთანრიგოსანი და სხვა თანრიგების ასობით სპორტსმენი. რაიონის ორგანიზაციებმა ასევე კარგი მაჩვენებლები მოიპოვეს მშთ და „მზად ვარ სამშობლოს დასაცავად" კომპლექსების ნიშნოსნების, საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების მომზადებაში.

ყოველივე ამის გამო ქობულეთის ფიზკულტურული ორგანიზაცია აჭარაში გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად სცნეს. ფიზკულტურის რაიონული კომიტეტი და „კოლმეურნის" რაისაბჭო, რომელსაც გამოცდილი მუშაკი ო. ლეჟავა უდგას სათავეში, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის გარდამავალი დროშებით დაჯილდოვდნენ, რაიონის მოწინავე ფიზკულტურული კოლექტივები კი ვიმპელებითა და სიგელებით.

რაიონული ორგანიზაციის ამ წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ხუცუბნის, ბობოყვათის ჩაისუბნის კოლმეურნეობების, ოჩხამურის, ცეცხლაურის, ჩაქვის საბჭოთა მეურნეობების, ქობულეთის 1-ლი და მე-2, მუხაესტატეს, ზედა ულიანოვკის საშუალო სკოლების, გელაურის, აჭყვის ჩაის ფაბრიკების ფიზკულტურულმა კოლექტივებმა. მარტო ბობოყვათის კოლმეურნეობის (გამგეობის თავმჯდომარე შ. მახაძე) ფიზკულტურულ კოლექტივში შარშან 19 საქართველოს სსრ სპორტის ოსტატი მოამზადეს.

აჭარის სოფლის სპორტსმენთა მიმდინარე თამაშებში ქობულეთელებმა საერთო პირველობა უკვე გაინაღდეს. ახლა აჭარის სპარტაკიადისთვის ვემზადებით. ამ ღონისძიებაში წარმატებით ასპარეზობა ჩვენი წლევანდელი ყველაზე ღირსეული ამოცანაა.

საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტისა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად პარტიის ქობულეთის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის დადგენილებით შეიქმნა რაიონული სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტი. უკვე ჩამოვაყალიბეთ რაიონის ნაკრები გუნდები სპორტის იმ 10 სახეობაში, რომლებიც აჭარის სპარტაკიადაში რაიონული გუნდების შეჯიბრების პროგრამაშია.

ქობულეთის სპარტაკიადას სექტემბერ-ოქტომბერში ვატარებთ. მასში წარმატებით მონაწილეობისთვის საორგანიზაციო კომიტეტმა პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებს, სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეებს, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმო-დაწესებულებების ხელმძღვანელებს დაავალა იზრუნონ შიდასაკოლექტივო სპარტაკიადების მაღალ დონეზე გამართვისა და რაიონულ სპარტაკიადაში აქტიური მონაწილეობისთვის. ფიზკულტურის რაიონულმა კომიტეტმა მათი აქტიური დახმარებისთვის გამოყო აქტივი, დროულად შეადგინა და ადგილებზე დაგზავნა სპარტაკიადის დებულება. შიდასაკოლექტივო სპარტაკიადები დასასრულს უახლოვდება.

მიღწევების მიუხედავად ჯერ კიდევ ბევრი ხარვეზია, რაც ქობულეთის რაიონში უფრო მაღალ დონეზე მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული საქმიანობის დაყენებაში გვიშლის ხელს. საყვედურს განსაკუთრებით იმსახურებენ სამკურნალო დაწესებულებები, სავაჭრო ორგანიზაციები, ჩაისუბნის, ქაქუთის, ლეღვას საშუალო სკოლების, ზოგიერთი ჩაის ფაბრიკის დირექციები, კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციები, რომლებიც არაფერს აკეთებენ, რათა მოწინავეებს გაუტოლდნენ, ნაკლებ ყურადღებას აქცევენ სპორტბაზების მოწყობას, შიდასაკოლექტივო შეჯიბრებების გამართვას, ამხანაგურ მატჩებს, რაიონულ ტურნირებში კი ან სულ არ მონაწილეობენ, ან მოუმზადებელი სპორტსმენებით გამოდიან.

ქობულეთის ფიზკულტურელები თავს არ დაიზოგავენ, რათა მაღალ დონეზე გაიმართოს რაიონული სპარტაკიადა, საოლქო სპარტაკიადაში წარმატებით იასპარეზონ და რაც შეიძლება მეტი შევსება მისცენ აჭარის ასსრ ნაკრებს, რომელიც გაისად საქართველოს სპარტაკიადაში იასპარეზებს.

ი. მჟავანაძე,
ქობულეთის ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე.

# ალმაცერად ნუ უყურებთ!

ცხინვალის ფიზკულტურულ კოლექტივებში მომავალი სპარტაკიადებისათვის სამზადისის გამო ერთგვარი გამოცოცხლება იგრძნობა. ქარხნებში „ვიბრომანქანასა" და „ემალმავთულში", ელექტროქსელში, ხე-ტყის კომბინატში, სამკერვალო ფაბრიკაში, სხვა ორგანიზაციებში დასახეს საქალაქო სპარტაკიადაში მონაწილეობის ღონისძიებანი.

სამხრეთ ოსეთის „განთიადის" საოლქო საბჭოს თავმჯდომარემ უ. მარგიევმა ეს ორგანიზაციები გაგვაცნო და ადგილებზე ამ კოლექტივების საქმიანობაც შევისწავლეთ.

„ვიბრომანქანა" სსრ კავშირში ამ პროდუქციის გამომშვები ერთადერთი ქარხანაა, რომელიც თავის ნაწარმს ყველა დემოკრატიულ რესპუბლიკას, აგრეთვე, 39 კაპიტალისტურ სახელმწიფოს აწვდის. საწარმო თითქმის მთლიანად ახალგაზრდულია, ამიტომ აქ ძალიან უყვართ ფიზიკური კულტურა. სწორედ გამაჯანსაღებელი ღონისძიებების წყალობითაცაა, რომ შრომაში სახელო მაჩვენებლებს აღწევენ.

ფიზკულტურული კოლექტივის განკარგულებაშია კალათბურთისა და ფრენბურთის კომბინირებული მოედანი, ძალოსნობის დარბაზი, ჭადრაკისა და მაგიდის ჩოგბურთის ოთახები. ხშირად ეწყობა შიდასაკოლექტივო ტურნირები, მატჩები მეზობელ საწარმოებთან. აქ ძლიერი გუნდები ჰყავთ — ცხინვალისა და სამხრეთ ოსეთის ყველა ასპარეზობის აქტიური მონაწილენიც არიან.

ქარხანაში ყველა იცნობს შრომასა და სპორტში მოწინავეებს — პირველთანრიგოსან მოჭადრაკეს თ. ცხოვრებოვს, ძალოსნობაში სპორტის ოსტატს ნ. დონდუხოვს: ისინი ხომ „განთიადის" ნაკრების წევრებიც არიან. სულ ახლახან ამ ქარხნის მოწინავე ათლეტთა რიგებს კიდევ ორი სპორტის ოსტატი შეემატა: მ. პლიევი და ე. დათიკოევი, რომლებმაც საამისო ნორმატივი ძალოსანთა შეჯიბრებაში შეასრულეს.

„ვიბრომანქანის" ფიზკულტურული კოლექტივი მომავალი საქალაქო სპარტაკიადის ერთ-ერთი მთავარი ფავორიტია. მაგრამ ვარაუდობენ, რომ მას ტოლს არ დაუდებენ „ემალმავთულის" წარმომადგენლები. აქ განსაკუთრებით ძლიერი მოჭადრაკეები ჰყავთ, სპორტის ოსტატი დ. ჯიოევი კი „განთიადის" ცენტრალური საბჭოს ძალოსანთა ნაკრების წევრია.

სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივი ერთ-ერთი მოწინავე საწარმოა საქართველოში. აქაურ სპორტსმენებს წლების მანძილზე ბევრი თასი, ვიმპელი და სიგელი მოუხვეჭიათ სხვადასხვა შეჯიბრებაში. მაგალითად, კალათბურთელი ვაჟები და ქალები ცხინვალის წინა სპარტაკიადის პრიზიორები არიან, მსროლელები და მოჭიდავეებიც კარგი ჰყავთ. ქალაქისა და ოლქის ნაკრებ გუნდებში ბევრი მკერავია. აქ მუდამ გადაჭარბებით სრულდება ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების გეგმა-ვალდებულებანი. სათანადო დონეზე დგას მასობრივ-გამაჯანსაღებელი საქმიანობა, ამიტომაც „განთიადის" ცენტრალური საბჭოს რამდენიმე სპეციალური პრიზიც დაუმსახურებიათ.

ხე-ტყის კომბინატსა და ელექტროქსელში სპორტის ბევრი მიმდევარია, მაგრამ, სამწუხაროდ, მათს გატაცებას დირექციები ბოლო ხანს ალმაცერად უყურებენ. ხე-ტყის კომბინატში ქონდათ კალათბურთისა და ფრენბურთის კეთილმოწყობილი მოედნები, სადაც შეჯიბრებებიც ეწყობოდა. მაგრამ ერთხელ, როცა დირექციას ხანძარსაწინააღმდეგო წესების დარღვევა უსაყვედურეს, ხანძარსაწინააღმდეგო აუზი მაინცდამაინც მოედანზე მოაწყვეს, თუმცა კომბინატის ეზოში საამისოდ სხვა ადგილის გამონახვა ძნელი არ გახლდათ. თორემ რა გამოვიდა: ფიზკულტურელებმა დირექციას მოსვენება არ მისცეს და ისიც იძულებული გახდა ახლა სპორტული მოედნებისთვის გამოეყო ადგილი.

კომბინატელებს მომავალი სპარტაკიადების სამზადისში დიდად აფერხებს სწორედ ბაზის უქონლობა, — გუნდებს ჯერ წვრთნაც არ დაუწყიათ.

ელექტროქსელის დირექტორის ი. კუდუხოვის განკარგულებით აქ გააუქმეს საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტის შტატი, რის გამოც ფიზკულტურელები უთავკაცოდ დარჩნენ. საინტერესოა, რა მოტივით ხელმძღვანელობდა კუდუხოვი მეთოდისტის შტატის გაუქმებისას?!

... ქალაქის სხვა ბაზებსაც ვეწვიეთ. სავალალო მდგომარეობაშია სპორტსკოლის საცურაო აუზის მშენებლობა. ამ ბაზას 8 წელია აშენებენ და საქმეს ჯერ ბოლო არ უჩანს. არა და, ცხინვალში არსადაა ისეთი ბაზა, რომელიც ცურვაში სავარჯიშოდ გამოდგება.

სპორტსკოლის შენობაში, რომელიც სულ ერთი წელია ჩადგა მწყობრში, ბევრი რამ მოსაწესრიგებელია. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, სპორტდარბაზის იატაკი... ოღრო-ჩოღროა.

გაჭიანურდა ქალაქის სტადიონის რემონტი. სარბენი ბილიკები და მძლეოსნური სექტორები გაპარტახებულია.

ცხინვალის კოლექტივების საქმიანობის, სპორტბაზების მდგომარეობის გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ კოლექტივთა უმეტესობა საქართველოს სპარტაკიადაში მონაწილეობისთვის ოლქის ნაკრებს მაინცდამაინც ღირსეულ შევსებას ვერ მისცემს.

ე. შალიკაშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).
ცხინვალი.



ამ სურათზე აღბეჭდილია ფიზაღზრდის გაკვეთილის მომენტი თბილისის 53-ე საშუალო სკოლის ახალ სპორტდარბაზში. გაკვეთილს ატარებს ფიზაღზრდის მასწავლებელი ნ. მანკოვსკაია.

მ. ზარგარიანის ფოტო.

## „ლელო" წერილების კვალდაკვალ

### „ორშაბათამდე მოითმინეთ..."

ამ სათაურით გაზეთ „ლელოს" 16 აგვისტოს ნომერში დაბეჭდილი წერილი თბილისის სასადილოების მე-2 ტრესტის გაერთიანებული ფიზკულტურული კოლექტივის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს ასახავდა.

ტრესტის დირექტორმა გ. ელიზბარაშვილმა და პროფკავშირის გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარემ თ. დაუშვილმა მიღებული ზომების შესახებ რედაქციას აცნობეს: „თბილისის სასადილოების მეორე ტრესტის დირექციამ და პროფკავშირის გაერთიანებულმა კომიტეტმა განიხილეს გაზეთში მოთავსებული სტატია „ორშაბათამდე მოითმინეთ..." წერილში აღნიშნული ფაქტები ძირითადად დადასტურდა. ამხ. ზ. გუგუნავა ამჟამად განთავისუფლებულია სამუშაოდან, ხოლო რაც შეეხება შრომის წიგნაკში თანამდებობის არასწორად ჩაწერის საკითხს, ამის გამო ტრესტის კადრების განყოფილების უფროსი ინსპექტორი ამხ. ჩირინაშვილი მკაცრად იქნა გაფრთხილებული და მიეცა თა. 18 აგვისტოს გავუგზავნეთ მიმართვა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტს და სპორტსაზოგადოება „სპარტაკს", რათა დახმარება გაგვიწიონ სპეციალისტის შერჩევაში, რომელიც ტრესტის გაერთიანებულ ფიზკულტურულ კოლექტივში ფიზკულტურის ინსტრუქტორ-მეთოდისტად იმუშავებდა".

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სპორტული სექტემბერი

შემოდგომის პირველი თვე ბევრ შეჯიბრებას გვპირდება. გთავაზობთ მათგან უმთავრესს.

**აკადემიური ნიჩბოსნობა**

5-6. ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატი (კანადა).

**ავტოსნობა**

5-6. სსრ კავშირის ჩემპიონატი (რიგა).

13-20. ევროპის ჩემპიონატი „მფრინავი ჰოლანდიელის" კლასში (ესპანეთი).

18-26. მსოფლიო ჩემპიონატი „ტემპესტის" კლასში (საფრანგეთი).

**ბაიდარებითა და კანოებით ნიჩბოსნობა**

27-30. საერთაშორისო შეჯიბრება (ზმელნიცკი).

**ბალახის ჰოკეი**

19-27. ევროპის ჩემპიონატი (ბელგია).

**ველოსპორტი**

5-6. საერთაშორისო შეჯიბრება ტრეკზე (მოსკოვი).

13. საერთაშორისო შეჯიბრება ოლიმპიურ ტრასაზე (გფრ).

**თანამედროვე ხუთჭიდი**

5-11. იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატი (საფრანგეთი).

**კალათბურთი**

5-8. საერთაშორისო შეჯიბრება „ბალტიის თასზე". მონაწილეობენ მოსკოვის „აეროფლოტის" სპორტკლუბის ვაჟთა და კალინინის „ინდორსტროის" ქალთა გუნდები (პოლონეთი).

10-21. ქალთა ევროპული ჩემპიონატი (ჰოლანდია).

23-30. საერთაშორისო შეჯიბრება (იტალია).

**კლასიკური ჭიდაობა**

14-28. სსრ კავშირისა და იაპონიის პროფკავშირთა ნაკრები გუნდების შეჯიბრება (იაპონია).

**მოტოსპორტი**

6. წიდოვან ბილიკზე მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი (პოლონეთი).

13. მოტოკროსმენთა საერთაშორისო შეჯიბრება „250-ანების" კლასში — „ერთვნებათა ხადგვლი" (შვეცია).

13. მოტოკროსმენთა საერთაშორისო შეჯიბრება „250" და „500-ანების" კლასში — „დუნაის თასი" (რუმინეთი).

21-23. საერთაშორისო შეჯიბრება წიდოვან ბილიკზე (ჩეხოსლოვაკია).

**მძლეოსნობა**

11-13. იუნიორთა ევროპული ჩემპიონატი (საფრანგეთი).

12-14. სსრ კავშირის ჩემპიონატი (მინსკი).

26-27. საერთაშორისო შეჯიბრება (გდრ).

**მხატვრული ტანვარჯიში**

26-27. საერთაშორისო შეჯიბრება (მოსკოვი).

**სამხედრო-სპორტული მრავალჭიდი**

5-6. კომპლექსური შეჯიბრება სამხედრო-სპორტული მრავალჭიდის საზაფხულო სახეობებში, მიძღვნილი ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი (პოლონეთი).

**საპარაშუტო სპორტი**

5-20. მსოფლიო ჩემპიონატი (იუგოსლავია).

**სასტენდო სროლა**

7-13. ევროპის ჩემპიონატი (რუმინეთი).

**სათხილამურო სპორტი (ბიატლონი).**

25-27. უძლიერეს სპორტსმენთა შეჯიბრება (ცესისი).

**სათხილამურო სპორტი (ხტომები და ორჭიდი)**

26-27. უძლიერეს სპორტსმენთა შეჯიბრება ხელოვნურსაფარიან ტრამპლინზე (გორკი).

**საცხენოსნო სპორტი**

11-14. მსოფლიო ჩემპიონატი სამჭიდში (ირლანდია).

**ტანვარჯიში**

11-22. გაზეთ „იუმანიტეს" ზეიმი (საფრანგეთი).

**ტყვიის სროლა**

5-10. მეგობრულ არმიათა ჩემპიონატი (ჩეხოსლოვაკია).

**ფარიკაობა**

13-24. მსოფლიო ჩემპიონატი (თურქეთი).

**ფეხბურთი**

15. სსრ კავშირის მეორე ნაკრების მატჩი პოლონეთის გუნდთან (პოლონეთი).

16. ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასი. „კარპატი" (ლვოვი) — „სტიაუა" (ბუქარესტი).

16. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი. „სპარტაკი" (მოსკოვი) — „ბაზელი" (შვეიცარია).

30. ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასი. „სტიაუა" (ბუქარესტი) — „კარპატი" (ლვოვი).

30. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი. „ბაზელი" (შვეიცარია) — „სპარტაკი" (მოსკოვი).

**ფრენბურთი**

23. IX-5. X. მსოფლიო ჩემპიონატი (ბულგარეთი).

**ცურვა**

5-12. ევროპის ჩემპიონატი (ესპანეთი).

**ქალოსნობა**

12-20. მსოფლიო ჩემპიონატი (აშშ).

**წყალბურთი**

5-12. ევროპის ჩემპიონატი (ესპანეთი).

18-25. საერთაშორისო შეჯიბრება (უნგრეთი).

**წყალსამოტორო სპორტი**

5-6. ევროპის ჩემპიონატი (შვეცია).

**წყალქვეშ ცურვა**

5. საერთაშორისო შეჯიბრება (ბულგარეთი).

20-28. ევროპის ჩემპიონატი სწრაფცურვასა და წყალქვეშ ორიენტირებაში (ესპანეთი).

**წყალში ხტომა**

5-12. ევროპის ჩემპიონატი (ესპანეთი).

**ჭადრაკი**

5-26. ვაჟთა გუნდური მსოფლიო ჩემპიონატი (გფრ).

**ხელბურთი**

14-20. საერთაშორისო შეჯიბრება „ბალტიის თასზე" (გდრ).

15-21. ბერლინის ტსკ-ას ქალთა გუნდის შეჯიბრება სსრ კავშირის პროფკავშირთა საკლუბო კოლექტივებთან. მოსკოვი (15), ვილნიუსი (18), კაუნასი (20), ელექტრენაი (21).

21-28. რკინიგზელთა საერთაშორისო სპორტული კავშირის ჩემპიონატი (გფრ).

**ჰოკეი**

16. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი. „დუკლა" (იიგლავა) — „სპარტაკი" (მოსკოვი).

19. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი. „სპარტაკი" (მოსკოვი) — „დუკლა" (იიგლავა).




**სსრ კავშირის პირველობა**

## ქიდევ ცვლილებანი...

გუშინ უნდა შემდგარიყო საკავშირო ჩემპიონატის თამაში ცსკა-სა და „ნევთჩის" შორის. ეს მატჩი გადაიდო. მისი ჩატარების დღე მოგვიანებით გამოცხადდება.

• • •

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში გამოქვეყნებული იყო „ა" კლასის II ჯგუფის II ზონის გუნდების გათამაშების ცხრილი. ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზით მასში გაიპარა შეცდომა. გორის „დილის" მაჩვენებლები უნდა იკითხებოდეს ასე: **27 თამაში, 10 მოგება, 6 ფრე, 11 წაგება, ბურთების სხვაობა 34—36, 26 ქულა.**

გაიმართა მორიგი შეხვედრები.

● „სამცხე" (აწყური) — „ქართლი" (გორის რაიონი) 1:1. მსაჯი დ. აბუთიძე (ქუთაისი).

● „სალხინო" (გეგეჭკორი) — „ენგური" (ზუგდიდი) 3:0. მსაჯი ი. კუსიდი (ბათუმი).

● „სქური" (წალენჯიხა) — „მალაროელი" (ჭიათურა) 2:0. მსაჯი ლ. ჯობაძე (ხაშური).

## საქართველოს ჩემპიონატი

### გათამაშების ცხრილები

**II ჯგუფი** — მდგომარეობა 8 სექტემბრისთვის

**I ზონა**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „გარეჯი" (საგარეჯო) | 18 | 12 | 3 | 3 | 48—18 | 27 |
| „ვარძია" (ასპინძა) | 19 | 12 | 3 | 4 | 40—16 | 27 |
| „მევენახე" (ყაზისუბანი) | 19 | 11 | 2 | 6 | 44—29 | 24 |
| „შევარდენი" (თბილისი) | 18 | 9 | 6 | 3 | 34—23 | 24 |
| „სპარტაკი" (რუსთავი) | 19 | 9 | 6 | 4 | 33—26 | 24 |
| „ჰერეთი" (ლაგოდეხი) | 18 | 7 | 8 | 3 | 34—22 | 22 |
| „მევენახე" (ბოლნისი) | 18 | 9 | 4 | 5 | 35—27 | 22 |
| „მშენებელი" (წალკა) | 19 | 9 | 3 | 7 | 24—31 | 21 |
| „დურუჯი" (ყვარელი) | 18 | 9 | 1 | 8 | 30—21 | 19 |
| „აბული" (ახალქალაქი) | 19 | 6 | 4 | 9 | 23—35 | 16 |
| „შირაქი" (წითელი წყარო) | 20 | 6 | 4 | 10 | 18—30 | 16 |
| „არაგვი" (დუშეთი) | 18 | 4 | 4 | 9 | 24—35 | 12 |
| „ბარისი" (თეთრი წყარო) | 19 | 3 | 6 | 10 | 25—39 | 12 |
| „ბახტრიონი" (ახმეტა) | 17 | 1 | 4 | 12 | 12—29 | 6 |
| „არაგვი" (მცხეთა) | 19 | 2 | 2 | 15 | 19—62 | 6 |

**II ზონა**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ივერია" (ხაშური) | 16 | 10 | 5 | 1 | 21—8 | 25 |
| „კოლხეთი" (ხობი) | 16 | 8 | 6 | 2 | 25—14 | 22 |
| „ჭოროხი" (ბათუმი) | 17 | 9 | 3 | 5 | 23—15 | 21 |
| „კოლმეურნე" (ჩხოროწყუ) | 18 | 4 | 11 | 3 | 17—15 | 19 |
| „დინამო" (ქუთაისი) | 18 | 7 | 4 | 7 | 20—17 | 18 |
| „ოდიში" (ზუგდიდი) | 15 | 6 | 5 | 4 | 14—10 | 17 |
| „საირმე" (მაიაკოვსკი) | 17 | 6 | 5 | 6 | 22—24 | 17 |
| „განახლება" (ადიგენი) | 15 | 6 | 4 | 5 | 18—19 | 16 |
| „განთიადი" (აბაშა) | 17 | 3 | 8 | 6 | 13—19 | 14 |
| „სამგურალი" (წყალტუბო) | 17 | 5 | 3 | 9 | 24—27 | 13 |
| „ჩიხურა" (საჩხერე) | 15 | 5 | 1 | 9 | 16—24 | 11 |
| „მექანიკოსი" (სამტრედია) | 16 | 4 | 2 | 10 | 18—29 | 10 |
| „კოლმეურნე" (ქედა) | 15 | 3 | 3 | 9 | 10—23 | 9 |

**ზონალური შეჯიბრებები**

**I ზონა**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „იმედი" (აწყური) | 6 | 4 | 2 | 0 | 16—3 | 10 |
| „შახტიორი" (მარნეული) | 7 | 4 | 1 | 2 | 11—12 | 9 |
| „კლდეკარი" (მანგლისი) | 6 | 2 | 3 | 1 | 10—8 | 7 |
| „მადნეული" (კაზრეთი, ბოლნისი) | 6 | 3 | 1 | 2 | 8—8 | 7 |
| „ოლიმპი" (ავრანლო, წალკა) | 6 | 2 | 1 | 3 | 4—6 | 5 |
| „ფარვანა" (ბოგდანოვკა) | 6 | 1 | 1 | 4 | 8—8 | 3 |
| „რაიკავშირი" (დმანისი) | 7 | 1 | 1 | 5 | 4—15 | 3 |

**II ზონა**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ჭაბუკიანი" (ლაგოდეხი) | 9 | 6 | 2 | 1 | 18—12 | 14 |
| „ვაზი" (შრომა, გურჯაანი) | 9 | 6 | 1 | 2 | 23—12 | 13 |
| „განთიადი" (კასპი) | 8 | 5 | 1 | 2 | 16—10 | 11 |
| „ქისტაური" (ახმეტა) | 8 | 5 | 0 | 3 | 20—12 | 10 |
| „წინანდალი" (თელავი) | 9 | 4 | 0 | 5 | 22—15 | 8 |
| „ტიბაანი" (სიღნაღი) | 8 | 2 | 2 | 4 | 9—15 | 6 |
| „ნაფარეული" (თელავი) | 9 | 1 | 1 | 7 | 5—17 | 3 |
| „იორი" (თიანეთი) | 8 | 1 | 1 | 6 | 8—28 | 3 |

**III ზონა**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი" (ვანი) | 6 | 4 | 1 | 1 | 12—7 | 9 |
| „ქვედა ბახვი" (მახარაძე) | 6 | 3 | 1 | 2 | 16—7 | 7 |
| „განთიადი" (ქარელი) | 5 | 3 | 1 | 1 | 9—10 | 7 |
| ჩაის საბჭ. მეურნ. (წალენჯიხა) | 6 | 3 | 0 | 3 | 10—10 | 6 |
| „კოლმეურნე" (ლანჩხუთი) | 6 | 2 | 1 | 3 | 10—14 | 5 |
| „ლესიჭინე" (ჩხოროწყუ) | 5 | 0 | 0 | 5 | 2—11 | 0 |

# ოლიმპიადა და კონგრესი ზიგენში

მოსკოვი, 4 სექტემბერი. ხვალ დასავლეთ გერმანიის ქალაქ ზიგენში გაიხსნება XIX საჭადრაკო ოლიმპიადა. იმავე დღეს დაიწყება ბრძოლა ექვს ქვეჯგუფში, რომელიც 13-მდე გასტანს. 14 სექტემბერს შედგება გადადებული პარტიების დამთავრება. ერთდღიანი დასვენების შემდეგ 16-დან 26 სექტემბრამდე გაიმართება 12 ფინალისტის შეხვედრები მსოფლიოს გუნდური ჩემპიონის სახელისთვის, ხოლო სხვა გუნდებისა — XIII და მომდევნო ადგილებისთვის.

მოჭადრაკეთა ტრადიციული შეხვედრები 1927 წელს დაიწყო. პირველი ასეთი ტურნირების მონაწილეთა შორის იყვნენ ა. ალიოხინი, ხ. კაპაბლანკა, მ. ეივე, რ. რეტი, გ. მაროცი, მ. ვიდმარი და სხვა სახელგანთქმული მოჭადრაკეები. „ერთა ტურნირში" საბჭოთა დიდოსტატების გამოჩენისთანავე — 1952 წლიდან — ამ შეჯიბრებებმა ჭეშმარიტად მსოფლიო ფორუმის ხასიათი მიიღო. მას შემდეგ ოლიმპიური ჩემპიონის ჯილდო — ჰამილტონ-რასელის თასი მოსკოვში გაეწერა.

## გაემგზავრნენ

მოსკოვი, 4 სექტემბერი. XIX საჭადრაკო ოლიმპიადაში მონაწილეობის მისაღებად გუშინ ზიგენში (გფრ) გაემგზავრა სსრ კავშირის მოჭადრაკეთა გუნდი. მის შემადგენლობაში არიან მსოფლიო ჩემპიონი ბ. სპასკი, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, სსრ კავშირის ჩემპიონი ტ. პეტროსიანი, დიდოსტატები ვ. კორჩნოი, ლ. პოლუგაევსკი, ვ. სმისლოვი და ე. გელერი. გუნდს თავკაცობს დიდოსტატი პ. კერესი, მწვრთნელია დიდოსტატი მ. ტაიმანოვი.

აი, წინა, XVIII ოლიმპიადის (1968 წ.) პირველი ხუთეული: 1. სსრ კავშირი (პეტროსიანი, სპასკი, კორჩნოი, გელერი, პოლუგაევსკი, სმისლოვი), 2. იუგოსლავია, 3. ბულგარეთი, 4. აშშ, 5. გფრ.

1960 წლის ოლიმპიადაში (ლაიპციგი) სსრ კავშირის გუნდმა თავისებური რეკორდი დაამყარა — ყველა მატჩი მოიგო.

ოლიმპიადასთან ერთად ზიგენში შედგება ფიდე-ს 41-ე კონგრესი. ფიდე ამჟამად 70-ზე მეტ ქვეყანას აერთიანებს. კონგრესი განიხილავს საერთაშორისო შეხვედრებისა და ჭადრაკის გვირგვინისთვის შეჯიბრებათა გეგმას, საერთაშორისო დიდოსტატისა და საერთაშორისო ოსტატის წოდებებს მიანიჭებს მოჭადრაკეებს, რომელთაც თავი ისახელეს ბოლოდროინდელ ტურნირებში და საორგანიზაციო საკითხებსაც გადაწყვეტს.



როგორც ვიუწყებოდით, სოხუმში ამას წინათ გაიმართა წყალბურთელთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდნენ გდრ-ის, რუმინეთის, სსრ კავშირისა და საქართველოს ნაკრები კოლექტივები, აგრეთვე, საბჭოთა სტუდენტების ნაკრები გუნდი.

სურათზე: ტურნირის ყველაზე ახალგაზრდა თავდამსხმელის პრიზს სსრ კავშირის სტუდენტთა ნაკრების წევრს ნ. მშვენიერაძეს გადასცემს ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე დ. კვინიკაძე.

ვ. ხემიონოვის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გოგონები მინი-კალათბურთს თამაშობენ



გოგონების კალათბურთელთა გუნდები, რომლებსაც თბილისის 146-ე სკოლის მასწავლებელი, სპორტის ოსტატი როზა ახალაძე ავარჯიშებს, ვარკეთილის მასივის № 38 საბინაო-საექსპლოატაციო კონტორასთანაა ჩამოყალიბებული. ეს გუნდები პედაგოგ-ორგანიზატორ ჟუჟუნა ჩომახიძის თაოსნობით შეიქმნა და მათ რ. ახალაძე საზოგადოებრივ საწყისებზე სათავეში ჩაუდგა, როგორც ამ უბნის მცხოვრები.

კეთილმა საქმემ მშვენიერი ნაყოფი გამოიღო: გოგონები ჩინებულად დაეუფლნენ კალათბურთის წესებს, კარგადაც თამაშობენ. რ. ახალაძე მათ მინი-კალათბურთის პროგრამით ავარჯიშებს. ამას წინათ კალათბურთელ გოგონებს, რომლებიც ზაფხულში ეზოს პიონერთა ბანაკში იყვნენ გაერთიანებული, ჩვენი კალათბურთის ვეტერანი ოთარ ქორქია ეწვია. მან შეაქო გოგონები და კარგა ხანს ესაუბრა კიდეც.

ახლახან ვარკეთილის მასივში დიდი სპორტული ზეიმი გაიმართა. მასში ახალაძის აღსაზრდელებმაც მიიღეს მონაწილეობა. მინი-კალათბურთელთა რამდენიმე გუნდი შეეჯიბრა ერთმანეთს. გამარჯვებულებს საზეიმოდ გადასცეს თვითნაკეთი სამახსოვრო მედლები. ეს საჩუქარი რ. ახალაძემ და ჟ. ჩომახიძემ მოუმზადეს პატარებს.

ვისურვოთ, რომ პიონერული რომანტიკის იდეებით დამზადებული ეს ჯილდო კარგი მეკვლე ყოფილიყოს იმ ნორჩებისთვის, რომლებიც დიდ კალათბურთში წარმატებებზე ოცნებობენ.

გ. ბახტაძე.

• • •

სურათზე: სპორტის ოსტატი რ. ახალაძე თავის აღსაზრდელებთან.

ხ. ედიშერაშვილის ფოტო.

# ნიაგარის აკომპანემენტში...

სენტ-კატარინსი (კანადა), 3 სექტემბერი. მრავალრიცხოვანმა მაყურებელმა მქუხარე ტაშით დააჯილდოვა უმესაჭო ორიანის საბჭოთა ეკიპაჟი, რომელმაც აკადემიურ ნიჩბოსნობაში III მსოფლიო ჩემპიონატის პირველივე დღეს 2-კილომეტრიან ტრასაზე არაოფიციალური მსოფლიო რეკორდი დაამხო: ლენინგრადელებმა ვ. სოლოვიოვმა და პ. ელინსკიმ თავიანთ სერიაში გაიმარჯვეს, თანაც, საუკეთესო დრო აჩვენეს — 6.54,21. თუმცა სპორტის ამ სახეობაში მსოფლიო რეკორდები არ აღინუსხება, ამ კლასის ნავებში აბსოლუტურად საუკეთესო დროს შვეიცარიის ტრასაზე 8 წლის წინათ მიაღწია დასავლეთ გერმანიის გუნდმა — 6.54,62.

საბჭოთა ნავი დიდხანს მეორე იყო და მხოლოდ მაშინ, როცა ფინიშამდე 500 მეტრი დარჩა, მძლავრი ბიძგით დაწინაურდა. II ადგილი დაიკავა გფრ-ის ეკიპაჟმა — 7.03,76.

კიდევ ერთ ორიანზე — მესაჭიან გასაშლელზე მიაღწიეს წარმატებას საბჭოთა ნიჩბოსნებმა. ვ. ეშინოვმა, ნ. ივანოვმა და მესაჭე ვ. კოსტიცინმა თავიანთი გაცურვაც მოიგეს და ამ კლასის ნავებში პირველ დღეს საუკეთესო მაჩვენებელსაც მიაღწიეს — 7.24,33.

ერთმოსასმელიანებით გაცურვა მოიგო მოსკოველმა ი. მალიშევმაც — 7.25,36. მას ძლიერი მეტოქე ჰყავდა — გდრ-ის წარმომადგენელი გ. დრაგერი. ნახევარფინალის საგზურის მოსაპოვებლად ორივე ნიჩბოსანმა დიდი ჯაფა გასწია, რასაც თვალნათლივ ადასტურებს გერმანელი სპორტსმენის დრო — 7.25,65.

კენჭისყრის „უკუღმართობამ“ რჩეულების ერთ გაცურვაში გდრ-ის, გფრ-ისა და სსრ კავშირის ძლიერი ეკიპაჟები მოახვედრა. გაიმარჯვა გდრ-ის გუნდმა — 5.52,29. II ადგილი დაიკავა ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორმა — სსრ კავშირის კოლექტივმა — 5.58,66. და მხოლოდ მესამე იყო ოლიმპიური ჩემპიონი — გფრ-ის ნაკრები — 6.00,36.

ორიანი წყვილმოსასმელიანების კლასში ოლიმპიური ჩემპიონი ა. ტიმოშინინი ახალი მეწყვილით ასპარეზობს: ა. სასის მაგივრად მის ნავში ე. ედანოვიჩი ზის. ამჯერად საბჭოთა „ტანდემი“ თავის გაცურვაში II ადგილზე აღმოჩნდა (6.34,62) — მან წინ დანიელთა ეკიპაჟი გაუშვა — 6.34,25.

უმესაჭო ოთხიანებში საბჭოთა ნიჩბოსნებმა მესამე შედეგი აჩვენეს — 6.35,27. ისინი ჩამორჩნენ შვეიცარიისა (6.28,41) და გფრ-ის (6.35,73) ეკიპაჟებს.

შაბათს გაიმართება ნახევარფინალები, რომლებშიც გამარჯვებულებმა, ცხადია, მონაწილეობის უფლება მოიპოვეს. არც წაგებულებს გადაწურვიათ იმედი: სანუგეშო რბოლები ხუთშაბათს მოეწყობა.

შეჯიბრება მიმდინარეობდა წყნარ, მზიან ამინდში და ნიაგარის ჩანჩქერის აკომპანემენტში — მსოფლიო ჩემპიონატის ტრასა სამყაროს ამ საოცრებიდან დაახლოებით ათ მილში მდებარეობს.

# რინგზეა კასიუს კლეი

რომის ოლიმპიური თამაშებისა და პროფესიონალ მძიმეწონოსანთა მსოფლიო ჩემპიონი კასიუს კლეი, რომელიც მოჰამედ ალის სახელს ატარებს, სამწლიანი „შესვენების“ შემდეგ კვლავ გამოვიდა რინგზე. ბოლოს და ბოლოს მას ნება დართეს ატლანტაში გამოსულიყო, სადაც ერთ საღამოს ორი ოთხრაუნდიანი საჩვენებელი ბრძოლა გამართა. მაგრამ მას ჰყავდა... სამი მეტოქე. ჯერ იგი ორ რაუნდში რ. ბრასელს შეხვდა, მერე ორი რაუნდი ჯ. ჰაჯინსს ებრძოლა, ბოლოს კი ოთხი რაუნდი ჩაატარა ჯ. ჰილთან. ადგილობრივი ზანგების კოლეჯის დარბაზში კლეის ოსტატობის სანახავად 2700 მაყურებელი მოვიდა.

სპორტულმა ჟურნალისტებმა, რომლებმაც მოკრივე რამდენიმე წლის წინათ ნახეს, აღნიშნეს, რომ კლეის არ დაუკარგავს მებრძოლის თვისებები, კვლავინდებურად სწრაფია და მისი დარტყმები ძველებურად მძლავრი და ზუსტია. შემთხვევითი როდი იყო, რომ მისმა მეტოქეებმა დასაცავი ჩაფხუტებით იასპარეზეს.

კლეი 100,3 კილოგრამს იწონის, რაც მის „საბრძოლო“ წონაზე 2,5 კილოგრამით მეტია. მოკრივემ განაცხადა, რომ ჯერ არ ჩამდგარა ნამდვილ სპორტულ ფორმაში და ჯერჯერობით არ არის მზად ჩემპიონის ტიტულისთვის იბრძოლოს.

როგორც ცნობილია, კასიუს კლეიმ 1967 წელს ვიეტნამში საბრძოლველად წასვლაზე უარი თქვა, რისთვისაც მას რინგზე გამოსვლა აუკრძალეს და მსოფლიო ჩემპიონის ტიტული ჩამოართვეს, თუმცა კლეის არც ერთი ორთაბრძოლა არ წაუგია.

საქვეყნოდ ცნობილი მოკრივის გამოსვლების მომწყობნი იმედოვნებენ, რომ ისინი 26 ოქტომბერს ატლანტაში კლეის შეხვედრებს გამართავენ ჯ. კვორისთან ან არგენტინელ ო. ბონავენასთან. ეს კი ნიშნავს, რომ კლეი კვლავ დაიწყებს მსოფლიო ჩემპიონის წოდებისთვის ბრძოლას. ამასობაში, 1968 წლის ოლიმპიური ჩემპიონი ჯ. ფორმენი (მძიმე წონა) კვლავ დასახელებულია „თვის მოკრივედ“ ამერიკული ჟურნალის „რინგის“ აგვისტოს ნომერში. ეს წოდება ფორმენმა კანადელ ჯ. ჩუვალოსთან სამრაუნდიან ბრძოლაში მოპოვებული შთამბეჭდავი გამარჯვებით მოიხვეჭა. ეს იყო წლეულს ფორმენის მეცხრე მოგება, ხოლო მერვე — ნოკაუტით.

„კრივის ბევრ მოყვარულსა და ექსპერტს მიაჩნია, რომ ფორმენი მომავალი მსოფლიო ჩემპიონია“, — წერს ჟურნალი. ფორმენი „იერარქიული კიბის“ მეოთხე საფეხურზე დგას. მას უსწრებენ ამჟამინდელი მსოფლიო ჩემპიონი, ტოკიოს ოლიმპიადის „პირველი ხელთათმანი“ ჯ. ფრეზერი, კვორი და ბონავენა, რომელთაც, შესაძლოა, კლეი შეხვდეს. სამაგიეროდ, ფორმენმა ჩამოიტოვა პროფესიონალ მოკრივეთა არაერთგზის მსოფლიო ჩემპიონი ს. ლისტონი და ევროპის ჩემპიონი, ინგლისელი ჰ. კუპერი.

ვ. კუკუშკინი.
(საკდესის კორ.).

# მანქანები და ადამიანები

ამ დღეებში 40 ავტომანქანამ ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის გზებზე უჩვეულო გადარბენა განახორციელა: უჩვეულო უპირველეს ყოვლისა თვით მანქანები იყო: ყოველ მათგანს ახალი კონსტრუქციის ძრავა ედგა.

ამ გადარბენას „სუფთა ჰაერის“ რბოლა უწოდეს. საქმე იმაშია, რომ არსებული ავტომანქანების მოდელები ატმოსფეროს ანაგვიანებენ და გადარბენის მონაწილე მანქანების განმასხვავებელი თვისებაც სწორედ ის იყო, რომ ენერგიის წყაროდ მათ ბუნებრივი ან თხევადი გაზი, ელექტროაკუმულატორები ჰქონდათ.

ტრასა ვერ დაამთავრა (ეს მარტო ექსპერიმენტულ მანქანებს როდი ემართება) ორმა „ორთქლმავალმა“. მაგრამ ორთქლისძრავიანი სამი მანქანა გზას განაგრძობდა. აქვე უნდა ითქვას, რომ მათი მძღოლები ძალიან ხშირად იხმობდნენ საწვავის სპეციალისტებს — ორთქლის წნევა ნორმაზე დაბლა ეცემოდა...

ბედი არ წყალობდათ ელექტროძრავიან მანქანებსაც. მათ ხშირად უხდებოდათ აკუმულატორების გამოცვლა, თუმცა საშუალო სისწრაფე ერთობ დაბალი იყო — 40 კმ საათში.

გაიმარჯვა მიჩიგანის უნივერსიტეტის სტუდენტთა ნახელავმა „გაზის“ ავტომობილმა.

• • •

ნიურნბერგელმა ავტომრბოლელმა ქალმა, 28 წლის ჰ. ვერნერმა განაცხადა, რომ მზად არის შეებრძოლოს სახელგანთქმულ ჯ. სტიუარტსა და ჯ. ბრებჰემს. XX საუკუნის ეს „ამაზონკა“ პროფესიით კბილის ტექნიკოსია. მაგრამ თავად მიაჩნია, რომ მისი ნამდვილი მოწოდებაა ყველაზე თანამედროვე ავტომობილებით ჩქაროსნული რბოლები. ამას წინათ ვერნერი მშობლიური ქალაქის მიდამოებში „ფორმულა-2“ ავტომანქანებით (ძრავის მოცულობა 1,6 ლიტრამდე) რბოლაში გამოვიდა და II ადგილი დაიკავა. ამის შემდეგ ამ ეფექტური ქერა ქალის სახელი მოწინავე ავტომრბოლელთა სიაში აღმოჩნდა.

როგორღა გამოეხმაურნენ ვერნერის განცხადებას სახელგანთქმული სტიუარტი და ბრებჰემი? მათ მიაჩნიათ, რომ ნიურნბერგის მახლობლად გამართული რბოლა „არასერიოზული“ იყო და ამიტომ მსოფლიო ჩემპიონის ახალი მაძიებლის ზრახვები სასაცილოდ არ ყოფნით.

ვერნერმა გადაწყვიტა თავისი ძალა მოკლე ხანში დაამტკიცოს. იგი „ფორმულა-3“ მანქანებით რბოლის სტარტს აიღებს ინგლისში, სადაც საქმე ექნება... 80 ვაჟთან.

• • •

ბონევილის (აშშ) ცნობილ ტრასაზე მსოფლიო რეკორდის დასამყარებლად მოასპარეზე ორი მრბოლელი საავადმყოფოშია გაგზავნილი. 38 წლის მ. ჩასტიანმა კონტროლი ვეღარ გაუწია თავის მანქანას, როცა სისწრაფემ 483 კილომეტრს მიაღწია საათში. ამ ავარიის შემდეგ მალე ხიფათი შეემთხვა 34 წლის ნ. ბლეკსაც, რომელმაც ვეღარ დაამაგრა 539 კმ სისწრაფით მქროლი ავტომობილი.

მესამე „უიღბლო“ აღმოჩნდა მ. ჰოი: მისი მანქანა დაიმტვრა, მაგრამ, საბედნიეროდ, მძღოლი საღ-სალამათი დარჩა.

[illegible]

## ურჩხულს საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა

ინგლისელმა ინჟინერმა, 34 წლის ბ. ფლეტჩერმა ლოხ ნესის ტბაში (შოტლანდია) გაცურვის რეკორდი დაამყარა — 24 მილი ყინულივით ცივ წყალში 14 საათსა და 1 წუთში დაფარა. ეს რეკორდი არც არის განსაკუთრებული ყურადღების ღირსი, ამ ტბაზე რომ არ გახორციელებულიყო: ხომ სწორედ აქ, როგორც ზოგიერთები ამტკიცებენ, შენიშნეს ზღაპრული ურჩხული, მერე „ნესი“ რომ დაერქვა.

თვით ფლეტჩერი, რომელსაც თავის აქტივში ლამანშის გადაცურვაც აქვს, გამოტყდა, რომ გუნებაში ყოველ წუთს ემზადებოდა ამ ურჩხულთან შესახვედრად. მიუხედავად ამისა, მან უარი განაცხადა სპეციალური დასაცავი კოსტუმის ჩაცმაზე. თუ ურჩხული მართლაც არსებობს, ფიქრობდა იგი, ალბათ მოცურავეებს საკმაოდ გულგრილად ეკიდებაო.




◆ გოტვალდოვი. 4 სექტემბერი. ადგილობრივი „ტე“ ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების მეთექვსმეტედფინალში გავიდა: შესარჩევ ეტაპში დუბლინში სძლია ადგილობრივ „ბოჰემიანსს“ — 2:1. საპასუხო მატჩში ჩეხოსლოვაკიელ ფეხბურთელებს ფრეც ხელს აძლევდათ. თამაში მართლაც ფრედ დამთავრდა — 2:2. ახლა „ტე“ ორჯერ შეხვდება ჰოლანდიის „ეინდჰოვენს“.

◆ ვენა, 4 სექტემბერი. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების შესარჩევ თამაშებში ადგილობრივმა „აუსტრიამ“ ბურთების სხვაობით აჯობა „სპარტაკ-ლევსკის“ (სოფია). ბულგარელმა ფეხბურთელებმა პირველი მატჩი შინ მოიგეს ანგარიშით 3:1, ახლა კი აქ ავსტრიელებმა უფრო გამოიღეს ხელი — 3:0. „აუსტრია“ გათამაშების მეთექვსმეტედფინალში გავიდა.

## 2:2, 3:0, 5:0




◆ ვარშავა, 4 სექტემბერი. პოლონეთის ფეხბურთელთა ნაკრებმა პირდაპირ გაანადგურა დანიის ეროვნული გუნდი — 5:0 (2:0). ბურთები გაიტანეს: მარქსმა (2), ლიუბანსკიმ, დეინამ და დანიელმა ჰანსენმა (თავის კარში).

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14.

უე 05754